ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲫᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 80 (18622) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 6 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საქართველოს სს რესპუბლიკაში ვ. ი. ლენინის დაბადების 113 წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობის მოწყობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა მზადება შაბათობისათვის. შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებებს, უფრო ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, იღვწიან შეგნებული სოციალისტური დისციპლინის შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცებისათვის.

მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე კომუნისტური შაბათობის მოწყობის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სამეურნეო ხელმძღვანელებს შრომითი კოლექტივების მეცადინეობა მოახმარონ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, საკავშირო კომუნისტური შაბათობის დღე გადაქციონ უმაღლესი შრომის ნაყოფიერების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაზოგვისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის დღედ, იმუშაონ ამ დღეს დაზოგილი ნედლეულით, სათბობითა და ელექტროენერგიით.

ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად ვალდებული არიან შაბათობის მონაწილენი დროულად უზრუნველყონ ყოველივე იმით, რაც აუცილებელია დიდნაყოფიერი შრომისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ფართოდ გაშუქონ კომუნისტური შაბათობის მომზადება და ჩატარება. (საქინფორმი).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲚᲘᲡ 5 Ა�პᲠᲘᲚᲘ. Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ. ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ — ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲓᲐᲜ!

ᲒᲔᲜᲘᲡ ქვეყანაში სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან ერთად საყოველდღეო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის გამოშვება საბჭოთა ადამიანების საარსებო მნიშვნელობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებელი პირობაა. მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება არსებითს გავლენას ახდენს ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის სტიმულირებაზე.

ეს აზრი გასდევდა წითელ ზოლად პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებას, რომელიც მიეძღვნა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მდგომარეობას და მისი გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მიერ დასახულ ამოცანათა მიხედვით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აქტივის კრებაზე აღნიშნა: „თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოებრივი პროგრესის არსი საერთოდ ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაა, ამ მიზანს საბოლოო ანგარიშით უნდა დაექვემდებაროს საზოგადოებრივი წარმოების ნებისმიერი დარგის საქმიანობა“.

ეს სიტყვები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში ყველა სამინისტროს, უწყების, სანარმო გაერთიანების, საწარმოების მუშაობის დევიზი უნდა გახდეს. პარტიულ-სამეურნეო აქტივმა ღრმად გააანალიზა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება და ზედმიწევნით ზუსტად აღნიშნა ის პოტენციური შესაძლებლობანი, რომლებიც რესპუბლიკას ამ მხრივ აქვს მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. ამიტომაც აქტივზე გამოთქმული სახელმძღვანელო შეთითებანი აქედანვე უნდა გახდეს ყოველდღიური, კონკრეტული სამოქმედო პროგრამა.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე არ ყოფილა პრაქტიკულად არც ერთი პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არც ერთი პლენუმი, რომელზეც არ ემსჯელათ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებაზე, მისი ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე. ეს საკითხი გახდა რესპუბლიკის პარტორგანიზაციის უძირფესესი საზრუნავი. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება 1970 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა.

შარშან ჩვენმა მრეწველობამ დაამზადა 3,5 მილიარდი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. მისი წარმოება განსაკუთრებით დიდდებოდა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, აგრეთვე ადგილობრივი და კვების მრეწველობის სამინისტროების სისტემაში, მანქანათსაშენებელ და ელექტროტექნიკის საწარმოებში. საკმაო გამოცდილება შეიძინეს ამ მხრივ საშენ მასალათა მრეწველობის, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა დიდმა ნაწილმა. რესპუბლიკის მრეწველობამ აითვისა რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოშვება, მათ შორის ფერადი ტელევიზორების, მაგნიტი ელექტრონული საათების წარმოება.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აღინიშნა, მშრომელთა მოთხოვნილება ბევრ საქონელზე ჯერ კიდევ ცუდად კმაყოფილდება, არ შეესაბამება მოთხოვნებს პროდუქციის მოცულობა, ხარისხი და ასორტიმენტი. მოსახლეობის მზარდი ფულადი შემოსავლის საქონლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი დაბალია, იზრდება რესპუბლიკაში მცხოვრებთა ხარჯები საქართველოს ფარგლებს გარეთ. მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდას თან უნდა სდევდეს ხარჯების გადიდება, ანუ ის, რომ გადახდისუნარიანი მოთხოვნილება მთლიანად იფარებოდეს შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით.

ყოველივე იმას, რაზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, მისი შეუნელებელი ნინსკლისათვის პრინციპული, თუ გნებავთ, საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხის მოგვარება, არც ერთი ნუთით არ უნდა დავაყოვნოთ. ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე ეს უნდა გახდეს სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, სანარმოების, ყველა მეურნეობის ხელმძღვანელთა მთავარი საზრუნავი, ამას ყოველდღიური კონტროლი უნდა დაუწესონ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

რესპუბლიკის ეკონომიკისა, კერძოდ, მრეწველობის პოტენციური შესაძლებლობები იძლევა იმის საშუალებას, რომ შედარებით სწრაფად გადავჭრათ ჩამორჩენა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მიმართულებით. აქ საჭიროა მთელი გულისყურით, მონდომებით და თავდადებით მოვეკიდოთ საქმეს, მიეუდგეთ მას მხლოდ პარტიულად, მხოლოდ სახელმწიფოებრივად. უკეთ უნდა გამოიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები და მივაღწიოთ ამ მხრივ საშუალო საკავშირო დონეს. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების ძალიან დიდი, პირდაპირ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი აქვთ მძიმე და თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებს, მაგრამ ისინი ამას არ იყენებენ. სხვათა შორის, სკკპ XXVI ყრილობამ ყველა სამინისტროს, მათ შორის თავდაცვითი და მძიმე მრეწველობის სამინისტროებსაც დაუსახა სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების საკმაოდ დიდი პროგრამა და ეს მომენტი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან.

ძალიან ცუდია, რომ რესპუბლიკის შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და ლითონდასამუშავებელ საწარმოებში შემცირდა მოხმარების საქონლის გამოშვება, ხოლო სრულიად შეუწყნარებელია, როცა ამ საკითხზე რესპუბლიკის საწარმოთა მესამედი არ მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ საწარმოთა ხელმძღვანელები, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ ზრუნავენ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ერთი და ორი როდია იმის მაგალითი, როცა საწარმო სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების წყალობით დიდმომგებიანი ხდება. არ ეკადრება სახალხო მოხმარების საგნებზე გამოშვების უარის თქმა ისეთ მაღალორგანიზებულ, მოწინავე, საჩვენებელ ორგანიზაციას, როგორიც „საქსამთოქიმმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებაა. ეს ეხება „მეორეულშავლიითონის“ გაერთიანებასაც. კარგი იქნებოდა, თუ ეს უკანასკნელი ისევე თავდადებით იბრძოლებდა სახალხო მოხმარების საგნების დამზადებისათვის, როგორც შავი ლითონების შეგროვების გეგმების შესრულებისათვის იბრძვის. გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის დროზე გააკრიტიკა თბილისის „ჩარხმშენებელის“ სანარმოო გაერთიანების მეთაური სანარმო იმის გამო, რომ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ ქარხანაში თავი ვერ მოაბეს ელემენტარული მოხმარების საგნების ათვისებასა და მათ სერიულ დამზადებას. სამწუხაროდ, მას შემდეგ, აქ ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა.

შარშან რესპუბლიკის მრეწველობამ ნარჩენებისაგან 20 მილიონი მანეთის ფართო მოხმარების საქონელი გამოუშვა. სასიამოვნო შედეგია, მაგრამ ეს ციფრი სრულიადაც ვერ გამოხატავს ჩვენს შესაძლებლობებს. ნარჩენების გამოყენების მნიშვნელოვნად მეტი საშუალება აქვთ რესპუბლიკის ხე-ტყის და ადგილობრივი მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებს. სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების ზრდის მდიდარი რეზერვები აქვთ არასამრეწველო ორგანიზაციებსაც. საგრძნობი შედეგების მიღწევა შეგვიძლია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, იმ რესურსებისა, რომლებითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა.

როგორც კრებაზე ითქვა, მარტო არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების, აგრეთვე წარმოებაში ნარჩენების, მეორეული ნედლეულისა და ადგილობრივი რესურსების უფრო სრული მოქცევის გზით რესპუბლიკის მრეწველობას უკვე ახლა შეუძლია 220 მილიონი მანეთით გაადიდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ეს დიდი რეზერვებია და მათი ამოქმედება მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, სხვა ორგანიზაციების გაუზრუნველ ორგანიზაციებზე, ინიციატივაზე, საქმისადმი მეურნეობრივ მიდგომაზე.

მოსახლეობის მოთხოვნის ნამდვილი შესწავლა და გათვალისწინება, მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესების შეხამება, მათი შეთანხმებული მუშაობა მთლიან გარდატეხას შეიტანდა სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების ზრდაში, ასორტიმენტის გაფართოებასა და მათი ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებაში. დროა, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო და მრეწველობა ურთიერთპრეტენზიებიდან ურთიერთშეხმატკბილებულ მუშაობაზე გადავიდნენ და მაშინ საერთო საქმე აუცილებლად მოიგებს.

სახალხო მოხმარების საქონელი მარტო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საოჯახო ნივთები როდია. ეს არის საზოგადოების კულტურული და სულიერი ღირებულებანიც, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდება ხალხური ხელმარჯვეობისა და ოსტატობის ტრადიციების აღდგენას, რასაც უდიდესი სოციალურ-ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით უკვე ცოტა როდია გაკეთებული ახმეტის, ხულოს, სიღნაღის, ყაზბეგის, თიანეთისა და ზოგიერთ სხვა მთისა და მთისწინა რაიონში, სადაც შეიქმნა სახალხო საოქნების უბნები. ეს უბნები ძირითადად, ადგილობრივი მრეწველობის ინიციატივით შეიქმნა. ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ამ საქმეს ყურადღება არ ექცევა რესპუბლიკის ბევრ რაიონში, მათ შორის ახალციხის, გურჯაანის, თერჯოლის, ბოლნისის და სხვა რაიონებში.

საჭიროა, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულმა საბჭოების აღმასკომებმა სრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დარგში. ეს, სხვათა შორის, ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზეც და აქედან სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, სხვა ორგანიზაციები მთელ თავიანთ ცოდნას, ენერგიასა და გამოცდილებას მოახმარენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, შრომითი კოლექტივები ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის, მისი ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ღირსეულად შეხვდებიან რუსი და ქართველი ხალხის ძმობისა და ერთიანობის შესანიშნავ თარიღს — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, დღესასწაულს, რომლის აღსანიშნავად მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება.



ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲗᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ყოველდღიურ ცხოვრებაში წითელ თარიღად შევიდა 5 აპრილი. მის ეპიგრაფად გაისმა გუშინ გაზეთებში გამოქვეყნებული „რსდპპ II ყრილობის 80 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სიტყვები: „პარტიის შექმნა განუყოფელია ვ. ი. ლენინის — გენიალური მოაზროვნის, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დიადი საქმის მიმდევრისა და განმგრძობის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობისაგან“...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან აღიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი. ძეგლის გახსნილადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე აქ თავი მოიყარეს პარტიის ვეტერანებმა, ომისა და შრომის გმირებმა, წარმოების მოწინავეებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის, ამიერკავკასიელი მეომრების წარმომადგენლებმა.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენგქიძე, ა. ნ. ინაური, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ხიბეიძე, ნ. ა. ეფთანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სელეზნიოვი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები. აქვე არიან მომძე მოკავშირე რესპუბლიკების, ქვეყნის მხარეებისა და ოლქების პარტიული მუშაკები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეობისათვის.

ცერემონიალი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. ვ. გურგენიძემ.

დამსწრეთა ტაშის გრიალში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე ხსნის ძეგლს. მონუმენტს მოეხსნა საბურველი და შეერებლეთ წარმოუდგათ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის წითელი გრანიტის ქანდაკება.

ყღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები.

შემდეგ **ე. ა. შევარდნაძე** ავიდა ტრიბუნაზე და თქვა:

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲗ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

ღირსშესანიშნავი დღე დაგვიდგა. თბილისში, ეს-ეს არის გაიხსნა ვ. ი. ლენინის კიდევ ერთი ძეგლი.

ახალი ძეგლია „ლენინი რაზლივში“. ჩვენს წინაშეა დიდი რევოლუციონერი და გენიალური მოაზროვნე ისტორიის გადამწყვეტ, გარდატეხის მომენტში, დიდი ოქტომბრის წინადღეს. ღრმა აზრით ფიქრობს ბოლშევიკური სახე, მომაელისადმი მიპყრობილი მზერა. იგი თითქოს ხედავს ზვალინდელ დღეს. სწორედ აქ, რაზლივში საბოლოოდ მომწიფდა გადაწყვეტილება შეიარაღებული გამოსვლის შესახებ. სწორედ აქ იღებს დასაბამს გზა პეტროგრადისაკენ, სადაც 1917 წლის 24 ოქტომბერს ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის გაგზავნილ წერილში ლენინი მოითხოვს „უეჭველად დღეს საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე“, ამასთან იძლევა გაფრთხილებას — „გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის“. და იმავე დღეს, გვიან საღამოს ჩამოდის იგი სმოლნში — რევოლუციის შტაბში. პარტიის ბელადი სათავეში უდგება აჯანყებას.

ასე დაინახეს და ასე აღბეჭდეს ლენინი მოქანდაკეებმა მიხეილ აიფიანმა და ლევან ფოფხაძემ. ძეგლის არქიტექტორია ვახტანგ აბრამიშვილი.

ჩვენ სულითა და გულით ვუღოცავთ დიდ შემოქმედებითს წარმატებას ამ ახალი შესანიშნავი ნამუშევრის ავტორებს და იმათ, ვინც ასე ოსტატურად შეასხა ხორცი გრანიტში მათს შთანაფიქრს, — მოძმე უკრაინიდან ჩამოსულ ქვაზე კვეთის შესანიშნავ ოსტატებს სერგი ტომოფეევის მეთაურობით. გვინდა გახსაკუთრებით აღვნიშნოთ, რომ ძეგლის მასალადაც გამოყენებულია უკრაინული მიწის წიაღიდან მოპოვებული საუცხოო წითელი გრანიტი. ამგვარად, თავად ეს მონუმენტი — ხალხთა მეგობრობისა და ურღვევი ძმობის შენაერნობი — ლენინის იდეების ცოცხალი განსახიერებაა.

დღეს გვინდა განსაკუთრებით მხურვალედ მადლობა გადავუხადოთ მხატვრებს, მშენებლებს, მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკებს, ქალაქის ხელმძღვანელებს — ყველას, ვინც ამ ძეგლის აგებას არა მარტო თავისი შრომა, არამედ თავისი გულის, თავისი სულის ნაწილიც ჩაჰქონია. დიდი მადლობა, ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს ჩაიწერა ახალი, კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ქართულ მხატვრულ „ლენინიანაში“, ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში, რომელშიც ლენინის თემა, ილიჩის მარად ცოცხალი სახე შემოქმედებითი მთაგონების უმრეტი წყაროა.

და სწორედ დღეს, 1983 წლის აპრილის ამ საზეიმო დღეს ვიხსენებთ 1921 წლის სექტემბერს, როცა თბილისში, ზღვა ხალხის თანდასწრებით, ფილიპე მახარაძის გამოსვლის შემდეგ, აჟღერდა „ინტერნაციონალი“ და ზეიმით გაიხსნა ვ. ი. ლენინის პირველი ძეგლი ჩვენს ქალაქში.

ეს მოხდა ზუსტად შვიდ თვეში მას შემდეგ, რაც მოსკოვში, კრემლში გაიგზავნა სერგო ორჯონიკიძის დეპეშა: „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ და ილიჩის მონუმენტის გახსნა თითქოს სიმბოლურად გამოხატავდა საქართველოს კომუნისტთა მზადყოფნას შეესრულებინათ ლენინის რჩევა: „შევინარჩუნოთ და განვავითაროთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური“.

იმხანად თბილისელ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა აეგოთ ისეთი მონუმენტი, დღეს რომ აღიმართა. ის პირველი ძეგლი იყო მხოლოდ პატარა ბიუსტი ილიჩისა, რომელიც შექმნა სულ მთლად ახალგაზრდა მოქანდაკემ ვ. ა. სერგეევმა. იგი თბილისში ლეგენდარული მე-11 წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ჩამოვიდა. ამას წინათ ეს ქანდაკება, რომელიც ხანგამძლე მასალისაგან არ იყო შექმნილი, კვლავ აღადგინეს და იგი დაიდგა ვ. ი. ლენინის ცენტრალური შუზეუმის თბილისის ფილიალში.

თბილისში ლენინის პირველი ძეგლი — ქვეყანაში დიდი ბელადის ერთ-ერთი პირველი ძეგლი — ჩვენთვის ძვირფასია ისევე, როგორც გალაკტიონ ტაბიძის ქრისტოფორეულად ქცეული ლექსი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი პოეტური ქმნილებაა ლენინზე.

დღევანდელი აპრილის დღე ყველა ჩვენგანისათვის ისეთივე ძვირფასი და დაუვიწყარი იქნება, როგორც 1927 წლის ივნისის დღე, როცა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალთან გაიხსნა ძეგლი—„ლენინი ხაჰეზში“. აქაც მიტინგი გაიმართა. სიტყვა წარმოთქვა „სრულიად საკავშირო მამასახლისმა“ მიხეილ ივანეს ძე კალინინმა.

საქართველოს ელექტრიფიკაციის პირმშოს — ლენინის გოელროს გეგმის მიხედვით აშენებული ვოლხოვის ელექტროსადგურის შემდეგ მეორე ელექტროსადგურის აშენებედა ცოცხალი განსახიერებაა ლენინის ანდერძისა: „დაიწყეთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები“. გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის ი. დ. შადრის მიერ შექმნილი ვ. ი. ლენინის მონუმენტური ფიგურა, მისი ხელის ენერგიული ჟესტი თითქოსდა ადასტურებს ამას.

საბჭოთა მონუმენტური ხელოვნების საგანძურში, სადაც მრავლადაა მარქსისა და ენგელსის უკვდავი საქმის ერთგული გამგრძობის სახის ამსახველი ქმნილებანი, ღირსეული ადგილი უკავია ვალენტინ თოფურიძის მიერ შექმნილ დიდებულ ძეგლს, რომელიც აქვე ახლოს, ლენინის მოედნის ცენტრში დგას. დიდებულია ქანდაკების უდიდესი ოსტატის იაკობ ნიკოლაძის ქმნილება ბრინჯოს ბიუსტი „ვ. ი. ლენინი „ისკრის“ შექმნის ეპოქაში“, რომელიც ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში ინახება. თბილისში, 26 კომისრის სახელობის რაიონში დგას ილიჩის ერთ-ერთი ადრეული ძეგლი, შექმნილი საბჭოთა კინოს თვალსაჩინო მოღვაწის მიხეილ ჭიაურელის მიერ, რომელმაც ხელოვნებაში თავისი ცხოვრება მოქანდაკეობით დაიწყო.

ვ. ი. ლენინის მონუმენტები აღმართულია ცენტრალურ მოედნებზე, მთავარი მაგისტრალების გადაკვეთაზე, საყოველთაო სახალხო ზეიმების ადგილებში სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, ხაშურში, ზუგდიდში, მახარაძეში, ცხკაიაში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის სახელ მთაადონა ისეთი ცნობილი ქართველი მოქანდაკეები, როგორებიც არიან ჯ. მერაბიშვილი, შ. მიქატაძე, თ. ასათიანი, ა. გორგაძე, ო. მელიქიშვილი და მრავალი სხვა.

ღირსშესანიშნავია, რომ ახალი ძეგლი თბილისში გაიხსნა აპრილში, ვ. ი. ლენინის დაბადების დღემდე ცოტა ხნით ადრე და ერთი წლის შემდეგ, რაც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თავის მოხსენებაში თქვა, რომ ცოცხლობს და მარად იცოცხლებს ვ. ი. ლენინის იდეები, რომლებიც სოციალიზმისა და კომუნიზმის გზას უნათებენ მუ-

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.)

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲣᲗᲮᲘᲓᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ჩამოდიან საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი. კონფერენცია განიხილავს საკითხს — პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლება მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში. 5 აპრილს ქალაქი გულითადად შეხვდა უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და ლატვიის სს რესპუბლიკების, ბურიატეთის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, კომის, ყალმუხეთის, ფორდეთის, თათრეთის, ტუვის, უდმურტეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთისა და ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკების, კრასნოდარისა და კრასნოიარსკის მხარეების, ამურის, ომსკის, ასტრახანის, ულიანოვსკის, ბელგოროდის, კამჩატკის, ორენბურგის, კურგანის, ვოლგოგრადის, ლიპეცკის, კალინინის, ვლადიმირის, რიაზანის, მურმანსკის, სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკის, როსტოვის, ჩიტის, ტიუმენის, სმოლენსკის, კუსტრომისა და მოსკოვის ოლქების პარტიულ მუშაკებს.

დამხვდურთა შორის იყვნენ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, ქალაქის შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. (საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გარდაიქმნას სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ საქართველოს სსრ

ლენინის იდეების ცოცხალი განსახიერება

(დასასრული)

შათა კლასს, მშრომელ მასებს; რომ ცოცხლობს და მარად იცოცხლებს ვ. ი. ლენინის საქმენი, რომლებმაც სათავე დაუდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ ფორმებზე, სოციალიზმზე პრაქტიკული გადასვლის დიად ეპოქას; რომ ცოცხლობს და მარად იცოცხლებს ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პარტია, რომელშიც გამაერადისებულია მისი იდეებიც, მისი საქმენიც.

ღირსშესანიშნავია, რომ ვ. ი. ლენინის ახალი ძეგლი დაიდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან. ლენინი მუდამ იჩენდა გულისხმიერ, გულითად ზრუნვას საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მიმართ. ნიადაგ წარმართავდა მათ საქმიანობას, უწოდებდა მათ პარტიის მებრძოლ რაზმებს, მაგალითად მოჰყავდა მათი მონოლითური შეკავშირება, მასობრივი გმირობა და თანმიმდევრული ინტერნაციონალიზმი.

ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნა თითქოსდა აგვირგვინებს დიდი არქიტექტურული კომპლექსის აგებას, რომელსაც დასაბამი მისცა ცენტრალური კომიტეტის ნათელი, ვრცელი, სამუშაოდ მეტად მოხერხებული შენობის აგებამ. საქართველოს კომუნისტებისათვის, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის იგი მუდამ იქნება ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო, ფასდაუდებელი საჩუქარი. და იმაში, რომ ეს შენობა ასეთი მშვენიერია, დიდი დამსახურება მიუძღვით ჩვენს შესანიშნავ არქიტექტორებს ვახტანგ აბრამიშვილს, ლეონ ჯანდიერსა და გურამ მირიანაშვილს, კონსტრუქტორ შალვა გაზაშვილს, ჩვენს სახელოვან მშენებლებს.

ამ არქიტექტურული ანსამბლის ორგანული ნაწილი გახდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარკვევლებელი საზოგადოების დაარსების 100 წლისთავის აღსანიშნავად დადგმული მემორიალური სტელა. ამ მემორიალის შემქმნელები არიან მოქანდაკე ვახტანგ ონიანი და უკვე ჩვენ მიერ ორჯერ მოხსენიებული ვახტანგ აბრამიშვილი.

ამ სტელის წახნაგზეა თავისი დროის დიდი მოაზროვნეების, დაუცხრომელი განმანათლებლების, პროგრესული საზოგადო მოღვაწეების გამოსახულებანი, რომლებიც მგზნებარედ მოუწოდებდნენ ადამიანებს კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

ჩვენ დღეს, ლენინის ძეგლის გახსნის დღეს შემთხვევით როდი მოვიგონეთ ჩვენი ხალხის სახელოვანი შვილები, რამეთუ ლენინიზმი, საბჭოთა სოციალისტური სინამდვილე იმკვიდრებენ ჩვენი თვალუწვდენი, მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხის ნათელ ოცნებას, იმკვიდრებენ ყოველივე მოწინავეს, ყოველ პროგრესულს, რაც კი მსოფლიო ცივილიზაციას შეუქმნია.

ლენინიზმი ჩვენი უჭკნობი, საბრძოლო დროშა, კომუნისტთა პარტიის დროშაა.

საქართველოს კომუნისტები დღესაც ასრულებენ ლენინის ბრძნულ დარიგებებსა და ანდერძს. ვლადიმერ ილიას ძე მოგვიწოდებდა განგვემტკიცებინა პარტიული ორგანიზაციები, აგვემაღლებინა მათი მებრძოლურობა, აღგვეზარდა მშრომელები მაღალი ინტერნაციონალიზმისა და კომუნისტური ჰუმანიზმის სულისკვეთებით. ჩვენ სწორედ ასე ვცხოვრობთ! ჩვენ სწორედ ასე ვმოქმედებთ!

საქართველოს, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვლილი გზა — სწორედ ეს არის ლენინის იდეების ცოცხალი განსახიერება, სწორედ ეს არის მოქმედი ლენინიზმი. და მთელ ამ გზაზე, თითქოს თითოეულ მის ეტაპს აღნიშნავენო, აღმართულან ვ. ი. ლენინის მონუმენტები, ადამიანისა, რომლის სახელითაც საბჭოთა ხალხი ცხოვრობს, იბრძვის და იმარჯვებს!

ღირსშესანიშნავია, რომ ილიჩის ძეგლი დაიდგა სწორედ მაშინ, როცა თბილისში უნდა გაიხსნას საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე. რომლებსაც ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, როგორც პარტიის საფუძველს, როგორც მის საძირკველს. ჩანშანდობლივია, რომ ეს კონფერენცია გაიმართება რსდმპ II ყრილობის 80 წლისთავის წელს, რომელზეც შეიქმნა სწორედ ბოლშევიკთა პარტია. როგორც ნათქვამია ამ სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ისტორიულ ასპარეზზე გამოვიდა ახალი ტიპის პარტია — მუშათა კლასის პარტია, მეცნიერული კომუნიზმის პარტია, სოციალისტური რევოლუციის და კომუნისტური აღმშენებლობის პარტია.

ვ. ი. ლენინი იბრძოდა „პროლეტარული ორგანიზაციისა და პარტიული დისციპლინის“ პრინციპების სრული გამარკვევისათვის და იცავდა ორგანიზაციულ პრინციპებს, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს პროლეტარული პარტია, პრინციპებს, რომლებსაც საფუძვლად უდევს მკაცრი დისციპლინა, პარტიული რიგების შეკავშირება და მონოლითურობა, აღნიშნავდა, რომ „რაც უფრო მტკიცე იქნებიან ჩვენი პარტიული ორგანიზაციები... მით უფრო ფართო, მრავალმხრივი, მდიდარი და ნაყოფიერი იქნება პარტიის გავლენა...“, რადგან, როგორც მას მიაჩნდა, მთელი პოლიტიკური მუშაობის წარმატების გადაწყვეტი ფაქტორია ძირეული პარტიული რგოლების განმტკიცება, მათი ბრძოლისუნარიანობისა და აქტიურობის ამაღლება.

რაოდენ აქტუალური, რაოდენ საჭირბოროტოა ეს დღეს, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმი, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის ყველა გამოსვლა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ისევე როგორც მთელ პარტიას, მიზნად უსახავს განავითარონ კომუნისტების, ყველა მშრომელის საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობა, განამტკიცონ დისციპლინა, სრულყონ მუშაობის სტილი.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, ისევე როგორც პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში ყოველი დიდმნიშვნელოვანი მოვლენის წინ, — დღესასწაული იქნება ეს თუ სადაგი დღეები, — ჩვენ მუდამ მივმართავთ ლენინს, მივდივართ ლენინის ძეგლთან, რევოლუციის სამბოლოთი — წითელი მიხაკებით ვამკობთ მას.

მაქსიმ გორკი წერდა ლენინზე, როცა „მისი გონებისა და ნების მემკვიდრეთ“ მიმართავდა, რომ არ ყოფილა ქვეყნად ადამიანი, მასავით მარადიული ხსოვნა რომ დაემსახურებინოს.

სათუთად ინახავენ რა ლენინის ხსოვნას, დღეს მისი გონებისა და ნების მემკვიდრენი მიუძღვიან ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს სწორი, ნაცადი ლენინური გზით, სათუთად ინახავენ რა ლენინის ხსოვნას, მისი გონებისა და ნების მემკვიდრენი არიან სოციალური სამართლიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, პროგრესისა და ხალხთა ბედნიერებისათვის მოწინავე კაცობრიობის ბრძოლის ავანგარდში. ეს არის ლენინის უკვდავება!

და დღეს ჩვენ ვამბობთ:

— ლენინი მუდამ ჩვენთან არის! გაუმარჯოს ლენინიზმს!

* * *

ილიჩის ძეგლის კვარცხლბეკს გაზაფხულის ყვავილებით ამკობენ. (საქინფორმი).

პირველადი ორგანიზაცია პარტიის საფუძველია

ლაკაკრაკობენ საკავშირო სამეცნიერო-კრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი

ორგანიზაციულ - პარტიული მუშაობის საკითხებზე საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოწყობამ თურქმენეთის პარტიული აქტივის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეს გასაგებიცაა. დღეს, მეთერთმეტე ხუთწლეულის შუაგულ წელს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის პარტიის უდიდესი მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენების — „სსრ კავშირის 60 წელი“ — შესაბამისად მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას პარტიის ძალების განაწილებისა და „გამოყენებისადმი. ყველა რესპუბლიკურ და საოლქო პარტორგანიზაციაში ბოლო წლების მანძილზე უმდიდრესი გამოცდილებაა შეძენილი, ამასთან მეტად მრავალფეროვანი გამოცდილება. საჭირო გახდა გავიაზროთ იგი, შევაფასოთ, ფართოდ გავავრცელოთ მუშაობის კარგად მიგნებული ფორმები.

ავიღოთ თუნდაც საქართველოს პარტიული ორგანიზაცია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებების შემდეგ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ გადაწყვეტილებით

ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო, სასარგებლო სჯაბაასს მოველი ქვეყნის პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ. ჩვენ, ყაზახ კომუნისტებსაც, ბევრი რამ გვაქვს სათქმელი. მაგალითად, ჩვენს ოლქში შეძენილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ამ პლენუმზე, მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო დებულებებისა და დასკვნების მიხედვით თითოეულ სამუშაო ადგილას მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის ბრძოლის არცთუ „ცუდი გამოცდილება. ამ საქმეში პირველადი პარტიული

შეძენილი გამოცდილების განზოგადებით

ა. ი. რაჩკოვი,

თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი

დაწყებული, საქართველოში, ჩვენი აზრით, ბოლო ათწლეულში გაწეულია დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა. მთელი რიგი მიმართულებებით მას ახასიათებს სიახლე, გაბედულება, იგი იძლევა დადებითს შედეგებს.

მუშაობის საინტერესო ფორმები გაჩნდა სხვა პარტორგანიზაციებშიც, კერძოდ, ჩვენს პარტორგანიზაციაშიც. თურქმენეთის პარტორგანიზაციას ახასიათებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სერიოზული გაძლიერება სკკპ ცენტრალურ კომიტეტში 1979 წელს თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის შემდეგ. მის საქმიანობაში მთავარი და განმსაზღვრელი გახდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში რესპუბლიკის წვლილის გადიდებისათვის, შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში საწარმოო სპეციალიზაციის გაღრმავებისათვის მშრომელთა ძალების დარაზმვა.

არსებითი დადებითი ძვრები მოხდა რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. თუ მეათე ხუთწლეულში სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის საშუალო წლიური მატება 2,2 პროცენტი იყო, ბოლო სამ წელიწადში იგი 2,8 პროცენტს უდრის. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიურმა მოცულობამ ამ პერიოდში მილიარდ 340 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 7,2 პროცენტით აღემატება მეათე ხუთწლედის მაჩვენებელს.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა უმნიშვნელოვანესი დარგები — გაზშომპოვებელი და ენერგეტიკული.

დაჩქარებული ტემპით გრძელდება ყარაყუმის არხის აგება. მან უკვე გადააჭარბა 1700-კილომეტრიან ნიშნულს. რთული მუშაობა მიმდინარეობს ჯერჯერობით უსიცოცხლო, მაგრამ პერსპექტიული მიწების ათვისებისათვის არხის დასავლეთი ნაწილის გასწვრივ.

წარმატებით წყდება ამოცანა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ასეა ჩამოყალიბებული: „რესპუბლიკა უნდა გადაიქცეს ნაზზოჭკოიანი ჯიშის ბამბის მოყვანის ძირითად ბაზად ქვეყანაში“. ახლა ქვეყანაში ასეთი ბამბის 80 პროცენტზე მეტს თურქმენეთი იძლევა.

ამ მუშაობის დროს ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია გამდიდრდა გამოცდილებით, რომელიც მოპოვებულია ჩამორჩენის დაძლევისა და სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის რთული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. აშხაბადის ნავთობის მანქანათმშენებლობის ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა კომუნისტების ინიციატივას ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის შიდასაქარხნო შეჯიბრების ორგანიზაციის, მომჭირნეობის პირადი ანგარიშების შემოღების შესახებ, რამაც უზრუნველყო ნედლეულისა და მასალების რაციონალური გამოყენება.

უმნიშვნელოვანესი საწარმოო საკითხების გადაწყვეტისადმი მიზანმიმართული მიდგომის მაგალითია აშხაბადის რაიონის კოლმეურნეობა „სოციალიზმის“ პარტკომის საქმიანობა, რომელმაც შეძლო შედარებით მოკლე დროში დაერაზმა მეურნეობის კომუნისტები, ყველა მშრომელი უდაბნოს 1700 ჰექტარზე მეტი ახალი მიწების ათვისებისა და აქ ყურძნის წარმოების ორგანიზაციისათვის.

უნდა აღვნიშნო, რომ კონფერენციისათვის მზადებამაც გარკვეული შედეგები მოგვცა. ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო რამდენიმე თვეში მნიშვნელოვნადაა შესწავლილი ბევრი პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობა. 27 კოლექტივში მოეწყო სოციოლოგიური გამოკვლევა. გაიმართა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პარტორგანიზაციების მდივნების ორი დღის რესპუბლიკური თათბირ-სემინარი კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ პარტორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით და ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სხვა საკითხებზე. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე დაწვრილებით განვიხილეთ პირველადი პარტორგანიზაციების საქმიანობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მოხსენების „სსრ კავშირის 60 წელი“ შესაბამისად.

თბილისში ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია კონფერენციის დროს საგულდაგულოდ განვიხილოთ დღეისათვის შეძენილი გამოცდილება და შინ დაბრუნებისას გავაცნოთ იგი ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომუნისტს.

არ არის მეორეხარისხოვანი საკითხები

ტ. შანდროვი,

ყაზახეთის კომპარტიის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

ორგანიზაციები, მათ შორის წესრიგის განმტკიცებისათვის ამ მოძრაობის ინიციატორიც — პეტროპავლოვსკის კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივი — იჩენენ მებრძოლურობას, პრინციპულობას, თანამიმდევრულობას. ამ ბრძოლის შედეგი მნიშვნელოვანია: საკმარისია ითქვას, რომ უკვე მიმდინარე წლის დამდეგიდან ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის სამრეწველო საწარმოებში, მეურნეობებში მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის დისციპლინის დარღვევათა რიცხვი.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ჩვენთვის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება, რომლის კოლექტივმა გამოიჩინა საყურადღებო ინიციატივა „სანმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა — თითოეულისაგან ყველგან და ყველაფერში“.

განსაკუთრებით გვაინტერესებს სახალხო მომხარების საქონლის გამოშვების გადიდების პრობლემა. ვიცით, რომ საქართველოში შეძენილია მასობრივი მოთხოვნის ნაწარმის გამოშვების გარკვეული გამოცდილება. ჩვენთვის დიდად საინტერესოა სამეურნეო-სამმართველო ექსპერიმენტები, რომლებიც ქალაქ ფოთსა და თქვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საქარხნო რაიონში ხორციელდება. დარწმუნებული ვარ, რომ კონფერენციის დროს საფუძვლიანად ვისაუბრებთ ამ დიდმნიშვნელოვანი თაოსნობების შესახებ.

არის პარტიული მუშაობის ბევრი საკითხი, რომელთა აქტუალობა დღეს მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვფიქრობ, რომ ბევრი მათგანის გამო გაიმართება დისკუსიები, აზრთა გაზიარება.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მშრომელები წარმატებით იბრძვიან მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის. პირველი კვარტალის მონაცემებით, შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდა მაუდ-სართავი საამქროს კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი თ. მუშკუდიანი ხელმძღვანელობს. სართავ მანქანას გულმოდგინედ დასტრიალებს თავს თამარ კეკენაძე, პირველი კვარტალის გეგმა მან 125 პროცენტით შეასრულა.

• •

სურათზე: მოწინავე მრთველი თ. კეკენაძე და საამქროს უფროსი თ. მუშკუდიანი სართავ მანქანასთან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ვ. ა. კატეიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

